შპს „ევრო კრედიტ+“

ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური ანგარიშგება

შპს „ევრო კრედიტ+“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
თანხა მოცემულია ლარში

აქტივები	**შენიშვნები**	**31-დეკ-2021**	**31-დეკ-2020**	**31-დეკ-2019**
ფული და ფულის ექვივალენტი	5	254,933	462,236	38,245
კლიენტებზე გაცემული სესხები	6	52,819,719	42,671,813	48,832,213
ძირითადი საშუალებები	7	111,294	354,502	688,749
არამატერიალური აქტივები		-	-	-
სხვა აქტივები		178,082	189,600	244,835
საგადასახადო აქტივები		-	18,247	25,328
სულ აქტივები		53,364,028	43,696,397	49,828,920
ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
მიღებული სესხები	8	57,216,702	50,729,177	43,291,832
სხვა ვალდებულებები	9	275,438	116,086	59,695
სულ ვალდებულებები		57,492,140	50,845,263	43,351,527
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	166,881	166,881	166,881
გაუნაწილებელი მოგება		(4,294,993)	(7,315,747)	6,310,512
სულ კაპიტალი		(4,128,112)	(7,148,866)	6,477,393
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		53,364,028	43,696,397	49,828,920

ფინანსური დირექტორი:

30 სექტემბერი 2022 წ.
თბილისი,

შენიშვნები გვერდებზე 10-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5

შპს „ევრო კრედიტ+“
მოგება-ზარალის უწყისი
თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნები	**2021**	**2020**
საპროცენტო შემოსავალი	11	7,273,406	6,060,056
საპროცენტო ხარჯი	11	(4,613,699)	(6,098,087)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე		2,659,707	(38,031)
სხვა შემოსავალი	12	(49,703)	(27,095)
ფინანსური მომსახურება	13	(46,425)	(1,269,116)
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(1,975,536)	(476,446)
საეჭვო სესხების გაუფასურების რეზერვი		2,257,802	(10,381,233)
ხელფასები და სხვა სარგებელი		(295,133)	(53,729)
უცხოური ვალუტის გაცვლით მიღებული მოგება/ზარალი	15	504,242	(1,362,615)
მოგება დაბეგვრამდე		3,054,954	(13,608,265)
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის შედეგი		3,054,954	(13,608,265)

ფინანსური დირექტორი:

30 სექტემბერი 2022 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5

შპს „ევრო კრედიტ+“
კაპიტალში ცვლილებების უწყისი
თანხა მოცემულია ლარში

	გაუნაწილებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	სულ
ბალანსი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	27,213,110	166,881	27,379,991
პერიოდის შედეგი	(20,900,000)	-	(20,900,000)
სხვა ცვლილება	(2,598)	-	168,893
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,310,512	166,881	6,477,393
პერიოდის შედეგი	(13,608,265)	-	(13,608,265)
სხვა ცვლილება	(17,994)	-	(17,994)
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(7,315,747)	166,881	(7,148,866)
პერიოდის შედეგი	3,054,953	-	3,054,953
სხვა ცვლილება	(34,199)	-	(34,199)
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(4,294,993)	166,881	(4,128,112)

ფინანსური დირექტორი:

30 სექტემბერი 2022 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5

შპს „ევრო კრედიტ+“

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

თანხა მოცემულია ლარში

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზარალი)/მოგება დაბეგრვამდე	3,054,953	(13,608,265)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	(243,208)	(338,737)
მოგების გადასახადი	-	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	2,811,745	(13,947,002)
ცლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		
ზრდა/(შემცირება) გაცემული სესხების	(10,147,906)	6,160,400
(ზრდა)/შემცირება სხვა აქტივების	11,517	54,785
(ზრდა)/შემცირება სხვა ვალდებულებების	159,947	55,796
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო ვალდებულებების	18,247	7,081
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**(7,146,450)**	**7,668,939**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების ცვლილება	486,415	672,984
არამატერიალური აქტივების ცვლილება		
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**486,415**	**672,984**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(34,199)	(17,994)
ზრდა/(შემცირება) ნასესხები სახსრების	6,486,930	7,437,940
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**6,452,731**	**7,419,913**
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(207,303)	423,991
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	**462,236**	**38,245**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**254,933**	**462,236**

ფინანსური დირექტორი:

30 სექტემბერი 2022 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შპს „ევრო კრედიტ+"

1. შესავალი

შპს „ევრო კრედიტ+" დაფუძნდა 2011 წლის 25 ოქტომბერს, საიდენტიფიკაციო კოდი: 404915561, მარეგისტრირებელი ორგანო არის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო .

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ავტომობილით უზრუნველყოფილი სესხების გაცემა ნებისმიერი მიზნისთვის.

იურიდიული მისამართი არის საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გიორგი საკაძის მე-2 გასასვლელი, N11.

კომპანიის დირექტორი არის იოსეფ რეუვენ გრენიკასი.

ორგანიზაციის დამფუძნებელი არის:

დასახელება	წილი %
ZUK CHINA STONE WORKS LIMITED	80.01 %
ეიალ დუანიას	2 %
D. Mody Properties Ltd	7.99 %
ორენ დუანიას	3 %
CLARET HORIZON HOLDINGS (Europe) LTD	1 %
შეზღუდული პასუხისმგებლობისსაზოგადოება ვ.გ.ჰ. ჯორჯია ინვესთმენთს	1 %
Meni Benish	5%

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL), რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური და წარმომადგენლობითი ვალუტა. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აღირიცხება ტრანზაქციის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. ამგვარი ოპერაციებისა და უცხოური ვალუტით დენომინირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
1 აშშ დოლარი/ლარი	3.0976	3.2766
1 ევრო/ლარი	3.5040	4.0233

2. მომზადების საფუძველი

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) პირველი მიღება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები, წარმოადგენს კომპანიის მიერ მომზადებულ ანგარიშგებებს. შესაბამისად, კომპანიამ ფინანსური ანგარიშგებები მოამზადა 2021 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული IFRS სტანდარტების მიხედვით.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების წამგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი ისეთი მატერიალური შეუსაბამობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის საქმიანობის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით წარმოადგენს ფინანსურ აქტივებს ან ვალდებულებებს თუ:

- შეძენილია უახლოეს პერიოდში გაყიდვის ან გამოსყიდვის მიზნით;
- ერთობლივი ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილი, რომელიც იმართება ერთად და რომელთათვისაც არსებობს მტკიცებულება მოკლევადიანი მოგების მიღებაზე;
- წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები (გარდა ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებისა ან ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტები) ან,
- თავდაპირველი აღიარებისას, სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრული მოგების ან ზარალის საფუძველზე.

კომპანიას შეუძლია აღიაროს ფინანსური აქტივები და ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის მეშვეობით, როცა:

- აქტივები ან ვალდებულებები მართვადია, შეფასებულია და წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულების საფუძველზე;
- გამორიცხავს ან მნიშვნელოვნად ამცირებს საბუღალტრო შეუსაბამობას, რომელიც სხვაგვარად წარმოიქმნება ან,
- აქტივი ან ვალდებულება შეიცავს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც სხვაგვარად იქნება საჭირო ხელშეკრულებით.

ყველა სავაჭრო დერივატივი წმინდა სამართლიანი ღირებულებით წარმოდგენილი (დადებითი სამართლიანი ღირებულება), წარმოდგენილია როგორც აქტივები. ყველა სავაჭრო დერივატივი წმინდა სავალუტო პოზიციაში (ნეგატიური სამართლიანი ღირებულება), წარმოდგენილია, როგორც ვალდებულებები.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახადებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ შემთხვევებისა როცა კომპანია:

- აპირებს გაყიდოს დაუყოვნებლივ ან უახლოეს ვადებში;
- თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის საფუძველზე;
- თავდაპირველი აღიარებისას, განსაზღვრავს როგორც გასაყიდად გამიზნული;
- შესაძლებელია ვერ აღიდგინოს არსებითად ყველა მისი საწყისი ინვესტიცია, გარდა კრედიტისა გაუარესება.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივებია ფიქსირებული ან განსაზღვრული საზღაურით და ფიქსირებული დაფარვის ვადით, რომელთა ფლობის განზრახვა და უნარი ჯგუფს ვალდებულების შესრულების ვადამდე აქვს, გარდა იმ შემთხვევისა როცა:

- კომპანია თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს სამართლიანი ღირებულებით;
- კომპანია ასახავს როგორც გასაყიდად შესაძლებელი;
- განისაზღვრება როგორც სესხები და მოთხოვნები.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განკუთვნილია როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი, არ არის კლასიფიცირებული სესხებისა და დებიტორული დავალიანების სახით, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები ან ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ფინანსური აქტივები, მათ შორის წარმოებული წარმოებულები, ფასდება მათი სამართლიანი ღირებულებებით, გარიგების ხარჯების გამოქვითვის გარეშე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მათ გაყიდვასთან ან ჩამოწერისგან, გარდა:

- სესხები და მოთხოვნები, რომლებიც იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, რომლებიც იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით
- ინვესტიციები კაპიტალში, რომლებსაც არ გააჩნიათ კოტირებული საბაზრო ფასები და რომელთა სამართლიანი ღირებულება არ შეიძლება საიმედოდ შეფასდეს

ყველა ფინანსური ვალდებულება, გარდა სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრულისა და ფინანსური ვალდებულებების გათვალისწინებით, რომლებიც წარმოიქმნება სამართლიანი ღირებულებით განხორციელებული ფინანსური აქტივის გადაცემისას, იზომება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების ამორტიზირებული ღირებულება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ვალდებულება იზომება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ძირი თანხების დაფარვა, პლუს ან მინუს კუმულაციური ამორტიზაცია ნებისმიერი სხვაობის ეფექტურ საპროცენტო მეთოდის გამოყენებით აღიარებული

საწყის თანხას ვადამდე დაფარვის ოდენობს შორის, მინუს ნებისმიერი გაუფასურების შემცირება. პრემიები და ფასდაკლებები, მათ შორის თავდაპირველი ტრანზაქციის ხარჯები, შედის შესაბამისი ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზებულია ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასების პრინციპები

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

შემლებისდაგვარად, კომპანია აფასებს ფინანსურ ინსტრუმენტებს აქტიურ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასის გამოყენებით. ბაზარი აქტიურად განიხილება, თუ აქტივის ან ვალდებულების ოპერაციები ხდება საკმარისი სიხშირით და მოცულობით, რათა უზრუნველყოს სწორი ფასების განსაზღვრა.

როდესაც არ არსებობს კოტირებული ფასი აქტიურ ბაზარზე, კომპანია იყენებს შეფასების მეთოდებს. შერჩეული შეფასების მეთოდი, აერთიანებს ყველა იმ მიდგომას რასაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებას ჩვეულებრივ გარიგების ფასს წარმოადგენს. თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ რეალური აღიარებისას სამართლიანი ღირებულება განსხვავდება გარიგების ფასისაგან, სამართლიანი ღირებულება არ არის შესაბამისი არც იდენტური აქტივისა და ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასთან და განსხვავდება შეფასების მეთოდის გამოყენებიტ დადგენილ ფასთან, ფინანსური ინსტრუმენტი ფასდება სამართლიანი ღირებულებით. განსხვავება სამართლიანი ღირებულებისა თავდაპირველი აღიარებისა და გარიგების ფასს შორის აღიარდება მოგება-ზარალში

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების შემდგომ წარმოქმნილი მოგება და ზარალი

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი აღიარდება შემდეგნაირად:

- ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების კლასიფიცირების შემდგომ მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში
- გასაყიდად გამიჯნული ფინანსური აქტივებიდან მიღებული მოგება-ზარალი აღიარებული არის სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა გაუფასურებისა და მოგება-ზარალის ხარჯებისა). გასაყიდად გამიჯნულ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული პროცენტი აღიარდება მოგება-ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ამორტიზირებული ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებებისაგან მიღებული მოგება-ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში მაშინ როცა, ეს აქტივები და ვალდებულებეი მიიჩნევა ჩამოსაწერად ან გაუფასურებულად.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ)კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ინსტრუმენტების გაქვითვა და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები იქვითება და წმინდა თანხის წარმოდგენა ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როცა არსებობს გაქვითვის იურიდიული უფლება და ანგარიშსწორების გაქვითულ თანხაზე წარმოების განზრახვა.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როცა ინვესტიციიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოიწურება ან გადაიცემა მფლობელობასთან დაკავშირებულ ყველა რისკთან და უკუგებასთან ერთად.

ფინანსური ვალდებულება ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებული იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება - ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა არ იცვითება. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

დასახელება	**სასიცოცხლო ვადები**
აღჭურვილობა	3-5
სხვა	3

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ჩამოწერის შედეგი აღიარდება მოგება - ზარალში.

არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის წრფივი მეთოდის გადახედვა, სასიცოცხლო ვადის განუსაზღვრელობამდე. არამატერიალური აქტივებისთვის, განუსაზღრელი სასიცოცხლო ვადით, ტარდება გაუფასურების ტესტი წლიურად. არამატერიალური აქტივები იცვითება იმ თარიღიდან, როცა გამოიყენება. სასიცოცხლო ვადა არის 10 წელი. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდის გადახედვა ხდება წლიურად და კორექტირდება შესაბამისად.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურების ნიშნების შეფასება ხდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. გაუფასურება არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა კომპანია დაადგენს, რომ მოხდა „ზარალის შემთხვევა", რომელიც ახდენს გავლენას ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე. შესაძლოა ვერ მოხერხდეს გაუფასურების გამომწვევი შემთხვევის იდენტიფიცირება და ასეთი შემთხვევის ანალიზი მოითხოვდეს მნიშვნელოვან მსჯელობას.

კოლექტიური გაუფასურების შეფასებისას კომპანია იყენებს ისტორიული ტენდენციების სტატისტიკურ მოდელებს, რომლებიც გამოვლენილია ალბათობის, დროის აღდგენისა და ზარალის ოდენობით, რომელიც მოახდენს მენეჯმენტის გადაწყვეტილებას, თუ რამდენად მიმდინარე ეკონომიკურ და საკრედიტო პირობებს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რეალური დანაკარგები უფრო მეტი ან ნაკლებია, ვიდრე ისტორიული მოდელირება.

რეგულარული განაკვეთების, ზარალის განაკვეთები რეგულარულად გადაიხედება, რათა უზრუნველყონ, რომ ისინი შესაბამისია. აღნიშნულ შემთხვევაში კონკრეტული გაუფასურების ტესტირება არ ჩატარდება, რადგან საკრედიტო პორტფელი მოიცავს დიდი რაოდენობით მცირე ექსპოზიციის სესხებს, რომლებისთვისაც ინდივიდუალური გაუფასურების ტესტირების ჩატარება არაპრაქტიკულია.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალი არის სხვაობა ამ აქტივის საბალანსო ღირებულებასა და აქტივიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებას შორის.

გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები შეიძლება შეიცავდეს:

საკონტრაქტო გადასახდელების წარმოუდგენლობა ძირსა და საპროცენტო თანხაზე; დებიტორების ფინანსური პრობლემები; ხელშეკრულების ან დებულების დარღვევა.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება - ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოიქმნის ფულადი სახსრების შემოდინებას სხვა აქტივებისაგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულისთვის, რომელსაც ეკუთვნის აქტივი.

ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის ჯგუფს აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ ჯგუფი შეასრულებს ამ ვალდებულებას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება - ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები ადვილად კონვერტირებადი და ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკის მქონე მუხლია. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ეროვნული ბანკის მიმართ თანხებს, რომელშიც შედის სავალდებულო რეზერვები და ბანკთაშორისი თანხები სამ თვეზე ნაკლები ვადით. ფულადი სახსრები სამ თვეზე მეტი ვადით გამოირიცხება ფული და ფულის ექცივალენტებისგან. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

მფლობელთა კაპიტალი

მესაკუთრის კაპიტალის ინვესტიცია აღიარებულია თავისივე ღირებულებით და კლასიფიცირებულია კაპიტალში როგორც მფლობელთა კაპიტალი. დივიდენდები აღიარებულია როგორც ვალდებულება იმ წელს, როდესაც ისინი გამოაცხადეს

დივიდენდი

დივიდენდები აღირიცხება ვალდებულების სახით და გამოირიცხება კაპიტალიდან იმ ვადაში, როდესაც დივიდენდებს გამოაცხადებენ და დაამტკიცებენ. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსურ ანგარიშგებამდე გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი გამოვლინდება შემდგომი მოვლენების შესახებ ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან და ეხება კომერციულ ბაკებს, საკრედიტო კავშირებს, სადაზღვევო ორგანიზაციებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს და ლომბარდებს, ხოლო სხვა საწარმოებთან დაკავშირებით 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი კოდექსი ზემოქმდებას ახდენს ჯგუფის საშემოსავლო გადასახადის აღიარებასა და შეფასების პრინციპებზე და ასევე გავლენას ახდენს ჯგუფის გადავადებულ საშემოსავლო გადასახადებზე აქტივებსა/ვალდებულებებზე. კომპანიებს არ უწევთ გადასახადამდე მოგებაზე საშემოსვლოს გადახდა (რომელსაც იყენებენ კომერციული ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო ორგანიზაციები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ლომბარდები 2017 წლის 1 იანვრიდან ან 2019 წლის 1 იანვრიდან), სანამ ეს მოგება არ განაწილდება დივიდენდის სახით ან მოგების განაწილების სხვა ფორმით. დივიდენდის გადახდის შემდეგ, საშემოსავლო გადასახადის 15% გადასახდელია დივიდენდის გადახდის მომენტში, მიუხედავად იმისა ის გადასახდელია მონეტარული თუ არამონეტარული ფორმით უცხოური არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის და უცხოელი და ადგილობრივი ფიზიკური პირებისთვის. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდა გადასახადისგან გათავისუფლებულია. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი გადასახდელია დანახარჯსა ან სხვა გადასახდელებზე, რომლებიც წარმოიქმნა არაეკონომიკური საქმიანობის შედეგად, საქონლის/მომსახურებების უფასო მიწოდების და/ ან სახსრების გადარცხვაზე და წარმომადგენლობით ხარჯზე, რომლებიც აღემატება საქართველოს საშემოსავლო გადასახადით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას იმავე წელს როცა ისინი წარმოიქმნა.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისთვის, იმდენად რამდენადაც სავარაუდოა, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანაკარგების გამოყენებისთვის. მენეჯმენტის მსჯელობა საჭიროა, რათა განისაზღვროს გადავადებული საგადასახადო აქტივის ღირებულება, რომელიც შეიძლება აღიარდეს, მომავალ დასაბეგრ მოგებასა და მომავალ საგადასახადო სტრატეგიაზე დაყრდნობით.

პერსონალის ხარჯები და მასთან დაკავშირებული შენატანი

ხელფასები, საპენსიო შენატანები, შვებულება და ბიულეტინი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი, აღიარდება იმ წელს, როცა მასთან დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომელმა გაწია.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები

ჩვეულებრივ ბიზნესში, კომპანიას აქვს გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან. განსჯა დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებით გამოიყენება მაშინ, თუ გარიგებები ფასდება საბაზრო ან არასაბაზრო ფასებში, სადაც არ არის აქტიური ბაზარი მსგავსი ტიპის ტრანზაქციებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველს წარმოადგენს მსგავსი ტიპის ტრანზაქციების ფასები არა დაკავშირებულ მხარეებთან.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აღიარებულია შემოსავალში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სხვა მოსაკრებლები, საკომისიები და სხვა შემოსავლები და ხარჯები იდენტიფიცირებულია მოგებაში ან ზარალში, როდესაც შესაბამისი მომსახურებაა გათვალისწინებული. გადახდები საოპერაციო ლიზინგის დროს აღიარებულია მოგების ან ზარალის შესახებ წრფივი მეთოდით სალიზინგო ვადის განმავლობაში. ლიზინგის წახალისება აღიარებულია როგორც იჯარის მთლიანი ღირებულების განუყოფელი ნაწილი, იჯარის ვადის განმავლობაში.

4. ახალი ან შესწორებული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გამოცემული 2014 წლის ივლისში) - სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39 სტანდარტს (ასევე ჩაანაცვლებს ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. სტანდარტი მოიცავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვისა და აღიარების შეწყვეტის წესებს.

ფასს 9-ს მიხედვით ყველა აღიარებული ფინანსური აქტივის შემდგომი აღრიცხვა უნდა მოხდეს ამორტიზებული ან რეალური ღირებულებით (მოგებაზე ან ზარალზე ან სხვა საერთო შემოსავალზე) კლასიფიკაციის მიხედვით ბიზნესის მოდელის და კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მახასიათებლების გათვალისწინებით.

ფინანსურ ვალდებულებებზე ფასს 9 სტანდარტი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, სადაც გამოიყენება რეალური ღირებულების მეთოდი: ისეთი ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების აღიარება, რომელიც აღრიცხულია რეალური ღირებულებით ვალდებულების რისკების ცვლილებით გამოწვეული მოგებისა და ზარალის გათვალისწინებით, ხდება სხვა საერთო შემოსავალში (მოგებასა და ზარალში აღიარების ნაცვლად) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს იწვევს წინააღმდეგობას აღრიცხვაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია „მოსალოდნელი კრედიტის დანაკარგის“ მოდელი, რომელიც დაფუძნებულია კონტრაქტის საწყის ეტაპზე მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების პრინციპზე. კრედიტის დანაკარგის აღიარებისთვის აუცილებელი აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობა.

ჰეჯირების აღრიცხვისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია არსებითი რევიზია, რისი წყალობითაც ფინანსური ანგარიშგებები უკეთ ასახავენ, თუ როგორ ტარდება რისკის მართვის აქტივობები ფინანსური და არაფინანსური რისკების ჰეჯირებისას.

ფასს 15, კლიენტებთან დადებული კონტრაქტებიდან შემოსავალი (გამოიცა 2014 წლის 28 მაისს და მოქმედებს პერიოდისთვის დაწყებული 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

ეს ახალი სტანდარტი გვთავაზობს მთავარ პრინციპს, რომ შემოსავალი აღიარებული უნდა იყოს მაშინ, როცა საქონელი

ან მომსახურებები გადაეცემა კლიენტს, გარიგებაში ფაქტიური გაყიდვის ფასად. ნებისმიერი პაკეტით განსაზღვრული საქონელი ან მომსახურებები, რომლებიც განსხვავდება, ცალკე უნდა იყოს აღიარებული და საკონტრაქტო ფასის ნებისმიერი დისკონტი ზოგადად უნდა გადანაწილდეს ცალკე ელემენტებზე. როცა უზრუნველყოფა რაიმე მიზეზით იცვლება, მინიმალური თანხები აღიარებული უნდა იყოს, თუ მათ არ აქვთ შებრუნების მნიშვნელოვანი რისკი. კლიენტებთან კონტრაქტების უზრუნველყოფით გამოწვეული ხარჯები უნდა კაპიტალიზდებოდეს და ამორტიზებული იქნას პერიოდის განმავლობაში, როცა კონტრაქტის სარგებელი მოიხმარება. ეს ცვლილება არ არის მოსალოდნელი, რომ რაიმე გავლენას მოახდენს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშებზე.

ფასს 16, ლიზინგი (გამოიცა 2016 წლის 13 იანვარს და მოქმედებს პერიოდისთვის დაწყებული 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

ახალ სტანდარტში წარმოდგენილია აღიარების, შეფასების, პრეზენტაციისა და ლიზინგების ასახვის პრინციპები. ყველა ლიზინგი იწვევს იმას, რომ მოიჯარე, იღებს აქტივის გამოყენების უფლებას ლიზინგის დასაწყისშივე, და თუ იჯარის გადახდა ხდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ასევე დაფინანსების მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, ფასს 16 აფასებს იჯარების საოპერაციო ლიზინგად ან ფინანსურ ლიზინგად კლასიფიკაციას, როგორც ამას მოითხოვს ბასს 17 და ამის ნაცვლად, შემოაქვს ერთი მოიჯარის საბუღალტრო აღრიცხვის მოდელი. მოიჯარეებმა უნდა აღიარონ: (ა) აქტივები და ვალდებულებები 12 თვეზე მეტ ვადიანი ლიზინგებისთვის, თუ წარმოადგენილი აქტივი დაბალ ღირებულიანი არ არის; და (ბ) იჯარით გაცემული აქტივის ცვეთა იჯარის ვალდებულებებზე პროცენტისგან ცალკე მოგება-შემოსავლის ანგარიშგებაში. ფასს 16-ს არსებითად გადააქვს მეიჯარის საბურალტრო არიცხვის მოთხოვნები ბასს 17-ში. შესაბამისად, მეიჯარე აგრძელებს მისი იჯარების საოპერაციო ლიზინგებად ან ფინანსურ ლიზინგებად კლასიფიკაციას, და სხვადასხვაგვარად უდგება ამ ორი ტიპის ლიზინგს. ჯგუფი ამჟამად ახორციელებს მის ფინანსური ანგარიშგებებზე ზეგავლენის შეფასებას.

ფასიკ 22 "ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და წინასწარი ანაზღაურება" (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

ინტერპრეტაცია ითვალისწინებს ოპერაციის თარიღის განსაზღვრის წესს უცხოურ ვალუტაში ოპერაციების შესახებ სტანდარტის გამოყენების დროს. ბასს 21. ინტერპრეტაცია გამოიყენება როდესაც საწარმო იხდის ან იღებს ანაზღაურებას წინასწარ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კონტრაქტებისთვის. ინტერპრეტაცია მიუთითებს, რომ ოპერაციის თარიღი არის დღე, რომელზეც საწარმო თავდაპირველად აღიარებს არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება წინასწარი ანაზღაურების გადახდის ან მიღების შედეგად. რამდენიმე წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ინტერპრეტაცია მოითხოვს საწარმომ განსაზღვროს ოპერაციის თარიღი წინასწარი ანაზღაურების თითოეულ გადახდასთან ან მიღებასთან დაკავშირებით. ინტერპრეტაცია მოითხოვს საწარმომ განსაზღვროს ოპერაციის თარიღი წინასწარი ანაზღაურების თითოეული გადახდისთვის ან მიღებისთვის. არანაირი არსებითი გავლენა არ არის მოსალოდნელი ჯგუფზე ახალი სტანდარტის შემოღების შედეგად.

ფასიკ 23 "გაურკვევლობები მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ" (გამოცემულია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

ბასს 12 მიუთითებს მიმდინარე და გადავადებული გადასახადის აღრიცხვის წესს, მაგრამ არ მიუთითებს გაურკვევლობების შედეგების ასახვის წესს. ინტერპრეტაცია განსაზღვრავს აღიარების და შეფასების მოთხოვნების წესს ბასს 12-ში, გაურკვევლობის შემთხვევაში მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ. საწარმომ უნდა განსაზღვროს განიხილოს თუ არა თითოეული გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი ცალკე თუ სხვა ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმებთან ერთად, რომელი მიდგომის საფუძველზეც უკეთ განსაზღვრავს გაურკვევლობის გადაწყვეტის საკითხს. საწარმომ უნდა დაუშვას, რომ საგადასახადო ორგანო შეამოწმებს იმ თანხებს, რომლის შემოწმების უფლებაც გააჩნია და სრული ინფორმაცია აქვს ასეთი შემოწმებების განხორციელების დროს. თუ საწარმოს დასკვნით არ არის შესაძლებელი რომ საგადასახადო ორგანომ მიიღოს გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი, გაურკვევლობის ეფექტი უნდა აისახოს დაკავშირებული დაბეგვრადი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტების ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში, სარწმუნო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რომელი მეთოდის საფუძველზეც საწარმო უკეთ განსაზღვრავს გაურკვევლობის გადაწყვეტის საკითხს. საწარმო ასახავს ცვლილების შედეგს ფაქტობრივად და გარემოებების მიხედვით ან ახალი ინფორმაციის შედეგს, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ შეფასებებზე, წინასწარი აღრიცხვის ცვლილების სახით. ცვლილებების მაგალითები

ფაქტობრივად და გარემოებებში ან ახალი ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ხელმეორედ შეფასება, მოიცავს და არა მხოლოდ შემოწმებებს ან ქმედებებს საგადასახადო ორგანოს მიერ, ცვლილებებს წესებში, რომელიც დადგენილია საგადასახადო ორგანოს მიერ ან გამოიწვიოს საგადასახადო ორგანოს საგადასახადო რეჟიმის შემოწმების ან განმეორებით შემოწმების უფლების ამოწურვა. საგადასახადო რეჟიმთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოს შეთანხმების არარსებობა ან უთანხმოება არ მოიცავს ცვლილებას ფაქტობრივად და გარემოებებში ან ახალ ინფორმაციას, როემლცი გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ შეფასებებზე. ჯგუფი ამჟამად აფასებს ინტერპრეტაციის ზემოქმედებას ფინანსურ ანგარიშგებებზე

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-2021	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	228,782	442,214	19,122
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	12,231	20,022	18,105
სალარო	13,920		918
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	254,933	462,236	38,245

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

ფული და ფულის ექვივალენტები არ არის გაუფასურებული და ვადაგადაცილებული

6. კლიენტებზე გაცემული სესხები

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
კლიენტებზე გაცემული სესხები	76,438,151	70,775,999	61,094,037
	76,438,151	70,775,999	61,094,037
დარიცხული პროცენტი	465,054	1,354,997	1,284,112
გადავადებული შემოსავალი	(483,458)	(539,881)	-
გაუფასურების რეზერვი	(23,600,028)	(28,919,301)	(13,546,206)
	(23,618,432)	(28,104,186)	(12,262,094)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	52,819,719	42,671,813	48,832,213

7. ძირითადი საშუალებები

ღირებულება	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი	კაპიტალიზირება დი ხარჯი	სხვა	სულ
ბალანსი 31.12.2019	793,130	385,751	303,427	394,873	1926031
შეძენა	-	-	-	-	
ჩამოწერა	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2020	793,130	385,751	303,427	394,873	1926031

შეძენა	-	-	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2021	793,130	385,751	303,427	394,873	1926031
ბალანსი 31.12.2019	744,943	230,626	91,584	169,079	1,236,232
ცვეთა	317,175	21,562	-	-	338,737
ჩამოწერა	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2020	1,062,118	252,188	91,584	169,079	1,574,969
ცვეთა	224,514	18,693	-	-	243,208
ჩამოწერა	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2021	1,286,632	270,881	91,584	169,079	1,574,969
ბალანსი 31.12.2019	97,037	155,125	212	225,794	688,749
ბალანსი 31.12.2020		125,268		225,794	354,062
ბალანსი 31.12.2021		125,268		225,794	354,062

8. მიღებული სესხები

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
იურიდიული პირებისგან მიღებული სესხები	57,091,854	50,258,117	27.983,304
ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხები			
		50,258,117	42,443,906
მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი	124,849	471,655	847,929
სულ მიღებული სესხები	57,216,702	50,729,772	43,291,832

9. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს საწარმოს დამფუძნებელ დოკუმენტაციებში კაპიტალის ნომინალურ თანხას.

საწესდებო კაპიტალის მფლობელებს უფლება აქვთ, დროდადრო გამოაცხადონ დივიდენდები და უფლებამოსილნი იყვნენ კომპანიის დამფუძნებლების შეხვედრებზე პროცენტული წილის შესაბამისად.

31.12.2018, 31.12.2019 და 01.01.2020 წლების მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი არის 166,881 ლარი. 2021 წელს ცვლილებები არ ყოფილა. შესაბამისად საწესდებო კაპიტალი უცვლელი დარჩა 31.12.2021 წლის მდგომარეობით.

10. ფინანსური მომსახურება

ფინანსური მომსახურება	2021	2020	2019
ფინანსური მომსახურება ჰორიზონ ჰოლდინგისგან	0	1,269,116	3,816,366
სულ ფინანსური მომსახურება	0	1,269,116	3,816,366

კლარეტ ჰორიზონ ჰოლდინგი არის კომპანია, რომელსაც აქვს 80 მილიონ დოლარზე მეტი კაპიტალი კვიპროსში და ასევე არის ყველა დიდი აქციონერი „ევრო კრედიტ +"- ის. როგორც მსესხებლების სიაში ვნახეთ, „ევრო კრედიტ + "დაარსებულია არარეზიდენტი კომპანიების მიერ და კლარეტი არის გარანტია „ევრო კრედიტ +"- ის ინვესტორებისთვის, ფული საქართველოდან არ გაიტანონ. მიზეზი არის „ევრო კრედიტ + "- ის და მთლიანად საქართველოს ფინანსური ბაზრის რისკიანობა. აქედან გამომდინარე, იმისთვის რომ "ევრო კრედიტ + "-ს არ თხოვონ ინვესტირების უკან დაბრუნება, კომპანია უხდის კლარეტს თანხას ინვესტორებთან გარანტიისთვის.

11. საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
ცვეთა	243,208	338,737
იჯარის ხარჯი	29,372	6,958
მომსახურების ხარჯი	-	-
იურიდიული ხარჯი	42,028	6,647
შესრულების ხარჯები	143,754	30
წარმომადგენლობითი ხარჯი	-	-
მანქანასთან დაკავშირებული ხარჯი	4,143	-
კომუნალურის ხარჯი	3,914	-
საგადასახადო ხარჯი	1,323,011	-
ინტერნეტისა და კომუნიკაციის ხარჯი	4,426	-
დაცვის ხარჯი	3,333	2
ოფისის ხარჯი	16,631	992
რეკლამის ხარჯი	5,547	
დასუფთავების ხარჯი	1,625	
ევაკუატორის ხარჯი	-	-
ბეჭდვისა და ტექნიკური ხარჯი	-	-
აღდგენის ხარჯი	-	-
საკანცელარიო ხარჯი	-	-
სხვა ხარჯები	154,544	90,496

სულ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი	1,975,536	476,446

12. რისკების მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლები

კორპორატიული მართვა

კომპანია დაფუძნებული არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად და ოპერირებს ქართული კანონმდებლობის მიხედვით. კომპანიის მმართველობითი ორგანო არის აქციონერთა საბჭო. აქციონერთა საბჭო ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს და გენერალურ დირექტორს. გენერალური დირექტორი პასუხისმგებელია კომპანიის საქმიანობის საერთო მართვაზე. საქართველოს კანონმდებლობა და კომპანიის წესდება ადგენს იმ გადაწყვეტილებების ჩამონათვალს, რომლებიც მხოლოდ ერთპიროვნულად არის დამტკიცებული.

რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები

რისკის მართვა ფინანსების ინსტიტუტების ფუნდამენტურია და წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის არსებით ელემენტს.

კომპანიის ფინანსურ ინსტრუმენტებთან და საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი ფინანსური და არაფინანსური რისკებია:

საბაზრო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი
- სავალუტო რისკი
- საფასო რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საოპერაციო რისკი
- კაპიტალის მართვის რისკი

საბაზრო რისკი

რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთს და სავალურო რისკებს.

აღნიშნული რისკების ეფექტური მართვისთვის, კომპანიას დამტკიცებული აქვს სპეციფიური სტრატეგიები, რაც შეესაბამება კორპორაციულ მიზნებს. ეს სტრატეგიები განსაზღვრავენ მოკლე და გრძელვადიან სამოქმედო გეგმებს და კომპანიის წინაშე მდგარი ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებებს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთების რისკი არის რისკი, რომელის წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ან მომავალი ფულადი ნაკადების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგანაც არ გააჩნია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები, ცვალებადი საპროცენტო განაკვეთები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება.

კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაექვემდებარებიან გადახდას.

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნარჩენ დაფარვის ვადებს მისი არადერივატიული ფინანსური ვალდებულებებისათვის გადახდის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების საფუძველზე უფრო ადრეულ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც კომპანიას მოეთხოვება გადახდა.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი არის სისტემური გაუმართაობის, წარმოქმნილი ადამიანური შეცდომა, თაღლითობა ან გარე ფაქტორებისგან წარმოქმნილი რისკი. როდესაც კონტროლის სისტემები არ მუშაობას, საოპერაციო რისკებმა შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, ჰქონდეს სავალალო სამართლებრივი ან მარეგულირებელი შედეგები, ან გამოიწვიოს ფინანსური ზარალი. კომპანიას არ შეუძლია აღმოფხვრას ყველა საოპერაციო რისკის მაგრამ კონტროლის მექანიზმის დანერგვა, მონიტორინგი და პოტენციური რისკებზე რეაგირება შეიძლება იყოს რისკის მართვის ეფექტური მექანიზმები. კონტროლის მექანიზმი უნდა მოიცავდეს ეფექტური სეგრეგაციის, ავტორიზაციის, შესწორებების სისტემებს და ასევე პერსონალის დატრენინგებისა და შეფასების პროცესებს, მათ შორის შიდა აუდიტის პროცედურებს

13. კაპიტალის მართვა

კომპანიას კაპიტალური მართვისთვის ფორმალური პოლიტიკა არ გააჩნია, მაგრამ მენეჯმენტი ცდილობს შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა კომპანიის საქმიანობისა და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. ეს მიღწეულია ეფექტური ფულადი სახსრების მართვით, კომპანიის შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგითა და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, ძირითადად, კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადების დაფინანსებით. ამ ზომების გათვალისწინებით, კომპანია მიზნად ისახავს სტაბილური მოგების ზრდას.

კომპანია ახორციელებს თავის კაპიტალურ სტრუქტურას და ახდენს ცვლილებებს ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და საქმიანობის თავისებურებების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შესანარჩუნებლად ან შესაცვლელად, კომპანიას შეუძლია შეცვალოს აქციონერთათვის დივიდენდის გადახდა ან აქციონერთათვის კაპიტალის დაბრუნება ან გაზარდოს საწესდებო კაპიტალი.

14. სახელშეკრულებო და პირობითი ვალდებულებები

სამართალწარმოება

ჩვეულებრივი ბიზნესის წარმოებისას, კომპანია ექვემდებარება სამართლებრივ ქმედებებსა და საჩივრებს. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ამგვარი ქმედებებიდან ან საჩივრისგან გამომდინარე საბოლოო გადაწყვეტილებას არ ექნება მატერიალური უარყოფითი გავლენა ფინანსური მდგომარეობის ან სამომავლო საქმიანობის შედეგებზე.

კომპანიას აქვს განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განმარტებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით ხასიათდება, რაც ხანდახან საკმარისად ნათელი არ არის და სხვადასხვა განმარტებებს ექვემდებარება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია რაიმე ვალდებულების დაკისრება დამატებითი გადასახადების, ჯარიმის ან პირგასამტეხლოს გადასახდელად, თუ იმ წლის დასასრულიდან, როდესაც დარღვევა მოხდა, სამი წელია გასული.

ასეთი გარემოებები, რომლებსაც საქართველოში საგადასახადო რისკებისკენ მივყავართ, არის უფრო მაღალი, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ყველა შესაძლო საგადასახადო პირობითი ვალდებულება ინახება და აღინუსხება კომპანიის მიერ სათანადოდ. კომპანია ექვმედებარება სამართლებრივ სარჩელებს და საჩივრებს.

15. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

(a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტორლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

(b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.

(c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

(d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

(f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

(g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშომელბისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

დაკავშირებული მხარეების ჩამონათვალი:

სს მიკროსაფინანსო ევრო კრედიტი	საერთო მეწილე
შპს WGH	საერთო მეწილე
შპს აუტოჰაბი	შვილობილი 2017 წლის მდგომარეობით
Zuk China Stone Works Limited	მეწილე
იოსეფ გრენიქას	დირექტორი

კომპანიას გაცემული და მიღებული აქვს სესხები დაკავშირებულ მხარეებზე როგორც 2017 ასევე 2018,2019,2020 და 2021 წლის მდგომარეობით.

16. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: სამართლიანი ღირებულებები და საბუღალტრო კლასიფიკაცია

სამართლიანი ღირებულებების დაყოფა ხდება სხვადასხვა დონეებად შეფასების მეთოდებში გამოყენებული საშუალებების საფუძველზე:

- დონე 1: კოტირებული ფასები აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისათვის.
- დონე 2: დონე 1-ში კოტირებული ფასების გარდა, აქტიურ ბაზრებზე შეფასებადი აქტივებისა და ვალდებულებების ფასები
- დონე 3: აქტიურ ბაზრებზე შეუფასებადი აქტივებისა და ვალდებულებების ფასები

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებას მათი საბალანსო ღირებულებებისგან განსხვავებით. აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასება მოგების ან ზარალის გავლით კლასიფიცირებულია რეალური ღირებულების იერარქიის მე -2 დონეში, შეფასების მოდელების გამოყენების გამო

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 30, სექტემბერს 2021 წელს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის შედგენამდე, ზემოთ ხსენებულის გარდა, სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.